სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №137

ქ. თბილისი ,,08“ აგვისტო 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი ***ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნინო თოფურიძის*** სახით და მეორეს მხრივ ***შ.პ.ს. ,, ოქეი”*** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი ***დირექტორის მერაბ წულუკიანის*** სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]” ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესყიდვის ობიექტი“ – ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. სტანდარტები

2.1. ხელშეკრულების შესაბამისად მიწოდებული შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ***„მობილური ტელეფონები”*** (CPV 32250000) შესყიდვა შემდეგი დასახელებითა და ოდენობით:

	დასახელება	რაოდენობა	ზომის ერთეული	თანხა
1	*მობილური ტელეფონი* Samsung A310F Galaxy A3 LTE Duos Gold	1	კომპლ	679.00

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 679,00 *(ექვსას სამოცდაცხრამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.*

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება ***ამავე უნივერსიტეტის 2016 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სახსრების ფარგლებში.***

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და მიღება-ჩაბარება

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

5.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან 3(სამი) დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს: 2016 წლის 30 აგვისტომდე.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.№61.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს მატერიალური რესურსების მართვის სამსახურისმთავარი სპეციალისტი მელორ მილორავა.

8.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან, 2 (ორი) ეგზ შემსყიდველთან და 1(ერთი)ეგზ მიმწოდებელთან.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	*შ.პ.ს.* „ოქეი“
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №9	ქ. თბილისი, ორბელიანის ქ. №35
საინდიფიკაციო კოდი: 205224700	საინდიფიკაციო კოდი: 204560901
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა	სს „ ბანკი რესპუბლიკა”
ბანკის კოდი TRESGE22	ბანკის კოდი REPLGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 709047004	ანგარიში: GE44BR 0000010937381873
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	დირექტორი
ნინო თოფურიძე	*მერაბ წულუკიანი*